




სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

შვრიის მოვლა მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგია



ფერმერებისათვის
თბილისი 2018

შპრიის მოვლა მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგია



შესავალი. შვრია ძველი კულტურების რიცხვს ეკუთვნის, მაგრამ მისი თესვა და მოყვანა ხორბალთან და ქერთან შედარებით ბევრად გვიან დაიწყო. შვრია ცნობილია ევროპის ზომიერი და ტენით მდიდარი ჰავის ჩრდილოეთ ნაწილის კულტურად. საქართველოში შვრიის ნათესი ფართობი უმნიშვნელოა, იგი მოჰყავთ მთიან ზონაში და ძირითადად საქონლის საკვებად გამოიყენება.

შვრია მნიშვნელოვანი საფურაჟე მარცვლეული მცენარეა, რომლის საკვებ ღირებულებასაც განსაზღვრავს მის მარცვალში შემავალი ცილები (9,0-19,5%), სახამებელი (40-56%) და ცხიმები (4-6%). მარცვალის გამოიყენება ბურღულეულის, ხოლო ხორბალთან ნარევი საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად. შვრიიდან დამზადებული პროდუქტები მნიშვნელოვანია დიეტურ და ბავშვთა კვებაში.

შვრია კარგი საკვებია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის. შვრიის ჩალა და ბზე კვებითი ღირებულებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა კულტურების იგივე ანარჩენები. პარკოსან ბალახებთან ნარევი შვრია კარგია მწვანე საკვებად და თივად. შვრიას ხშირად თესავენ ცერცველასთან ნარევი. ცერცველა-შვრიის ნარევი

ერთერთი საუკეთესოა დაკავებულ ანეულზე დასათესად, იგი იძლევა დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვან მწვანე საკვებს ან თივას და ადრე ათავისუფლებს მინდორს ნიადაგის მოსამზადებლად საშემოდგომო კულტურებისათვის.

შვრია წარმოდგენილია სახეობათა დიდი რაოდენობით, რომელთაგან საქართველოში ძირითადად გავრცელებული გვხვდება ორი სახეობის: კულტურული შვრია (*Avena sativa* L.) და ველური შვრია - შვრიუკა (*Avena Fatua* L.), რომელიც ასარეგინებს პურეულის ნათესებს და მინდვრის კულტურებს.

ფერმერულ მეურნეობებში და კერძო ნაკვეთებზე შვრიის მოყვანას ხელს უშლის გავრცელებული ჯიშების დაბალმოსავლიანობა, ჩანოლისადმი მიდრეკილება, მარცვლის ცვენადობა და ხშირ შემთხვევაში გაზაფხულზე თესლის დეფიციტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 2014 წლიდან დაწყებულია შვრიის სასელექციო მასალის შესწავლა. შესწავლის შედეგად გამორჩეული და გამრავლებულია პერსპექტიული ჯიში „არგო“, რომელიც ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, მაღალხასხიანობით, ჩანოლისადმი გამძლეობით, დაავადებების და მავნებლებისადმი იმუნიტეტით, მდგრადია მარცვლის ჩაცვენისადმი და შეუძლია მყარი მოსავლის მოცემა.



ბიოლოგიური თავისებურება.

შვრია სითბოსადმი არ არის მომთხოვნი, იგი ზომიერი ჰავის მცენარეა. აღმოცენებიდან ყვავილედის გამოტანამდე შედარებით გრილი ამინდით კმაყოფილდება. თესლი გალივებას იწყებს 3-4⁰ ტემპერატურაზე. გაზაფხულის სუსხს -3-4⁰-ს კარგად იტანს. ყველაზე ოპტიმალური ტემპერატურაა აღმოცენების შემდგომ პირველ ოთხ კვირაში 10-12⁰C. ისეთ პირობებში თუ ტენი საკმარისია, კარგად ვითარდება და ნაკლებად ზიანდება მავნებლებით. მაღალი ტემპერატურის მიმართ უფრო მეტად მგრძნობიარეა, ვიდრე ხორბალი და ქერი.

შვრია ნიადაგისადმი უფრო ნაკლებ მომთხოვნი, ვიდრე სხვა საგაზაფხულო პურეული, რაც გამოწვეულია კარგი ფესვთა სისტემით და მისი მაღალი შეთვისებადობით. იზრდება ქვიშნარ, თიხნარ და ტორფიან ნიადაგებზე. ამავე დროს შვრია დადებითად ეხმაურება ნიადაგის ნაყოფიერებას. კარგი მოსავალი მიიღება შავმიწებზე საკმარისი ტენიანობის დროს. სხვა კულტურებზე უკეთესად ცხოველმყოფელობს მჟავე ნიადაგებზე. მშრალ ქვიშიან ნიადაგებზე წყლის ნაკლებობა იწვევს წვრილთესლიანობას, ცუდ ამოვსებულობას, გადიდებულ კილიანობასა და ფხიანობას. შვრიის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაღალი მოსავლის მისაღებად, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია სპეციფიკურია.

ადგილი თესლბრუნვაში. რეკომენდირებულია შვრიის თესვა თესლბრუნვის ბოლო კულტურად. ეს კულტურა უკეთესია გაადგილდეს სათოხნი (სიმინდი, კარტოფილი, მზესუმზირა) ან სამარცვლე პარკოსანი კულტურების შემდეგ. იგი მოითხოვს ბევრ აზოტს, რის გა-

მოც მისთვის კარგია სამარცვლე პარკოსნები და განსაკუთრებით ბარდა. მაღალი მოსავალი მიიღება განოყიერებული საშემოდგომობის შემდგომ თესვის შემთხვევაშიც. არ არის რეკომენდირებული მისი დათესვა ორ წელიწადს ზედიზედ ერთ და იმავე ფართობზე და ქერის შემდეგ.

წინამორბედი. შვრია სწრაფმზარდი მცენარეა უხვი ამონაყრით, ამიტომ თესლბრუნვაში მისი მოთავსება შესაძლებელია ყველა კულტურის შემდეგ. უკეთესია სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული მიწიერი. კარგი წინამორბედია სათოხნი კულტურებისათვის, ტოვებს სუფთა ნიადაგს. შვრიის თესლი, კილებით არის დაფარული, ამის გამო მის გალივებას შედარებით მეტი დრო და წყალი ჭირდება. შესაბამისად, რაც შეიძლება ადრე უნდა დაითესოს, როგორც კი წინამორბედი კულტურა იქნება აღებული.

ნიადაგის დამუშავება. შვრიისათვის სასურველია ნიადაგის მზრალად მოხვნა, გაზაფხულზე ხნულის გაფხვიერება და დაფარცხვა. რადგან ფესვთა სისტემა ხასიათდება ძლიერი განვითარებით, ამიტომ ნიადაგის ღრმად დამუშავების დროს მოსავლიანობა მკვეთრად იზრდება, ამიტომ შვრიისათვის ძირითადად გამოყენებულია დამუშავების ტრადიციული - ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ნიადაგის ძირითად დამუშავებას - ხვნას ფრთიანი გუთნით 25-27 სმ სიღრმეზე.

თესვის ვადები. შვრიის საგაზაფხულო ბუნება და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა საშუალებას იძლევა ვთესოთ, როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც შემოდგომის ნათესი, კლიმატური პირობების გამო სამეურ-

ნეო მნიშვნელობას კარგავს, ასეთ შემთხვევაში შვრიის გამოყენება ყველაზე კარგი საშუალებაა. ამ თავისებურების გათვალისწინებით საშემოდგომო თესვა ემთხვევა საშემოდგომო ხორბლის თესვის პერიოდს, საგაზაფხულო თესვა შესაძლებელია ჩატარდეს ადრე გაზაფხულზე, დაზიანებული საშემოდგომო ნათესების გადასათესად, ან საგაზაფხულო თავთავიანების თესვის პერიოდში.

თესლის შენამვლა. შვრია რეალურად ყოველთვის ავადდება სოკოვანი დაავადებით (ჟანგა, გუდაფუტა), ადვილად ზიანდება აოდვისაგან, ამიტომ თესლის შენამვლა აუცილებელია. მაღალი მოსავლის მიღების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მაღალხარისხოვანი თესლით თესვა. სათესლედ მხოლოდ მსხვილი მარცვლები უნდა გამოვიყენოთ. მარცვალი უნდა აკმაყოფილებდეს დანესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავესა და გაღვივების უნარზე.

თესვის ნორმები. მწვანე საკვებად თესვის დროს საჭიროა 240-250კგ/ჰა-ზე და ითესება ვიწრო მწკრივებად. სამარცვლე შვრიის თესვის ნორმაა 180-220კგ/ჰა-ზე. სამარცვლედ თესვის დროს უმჯობესია ჩამთეს გამოტოვებით, განიერ მწკრივებად თესვა. ასეთი წესით თესვის დროს მაღალია ბარტყობა, თავთავი მსხვილი, კარგად შემარცვლული, მარცვალი ამოვსებული და შესესაბამისად მოსავალიც მაღალია.

განოყიერება. ორგანული სასუქები უშუალოდ შვრიისათვის არ შეაქვთ. იგი მაქსიმალურად იყენებს წინამორბედ კულტურებში შეტანილ სასუქებს. საშემოდგომო ნათესი გაზაფხულამდე დამატებით გამოკვებას არ საჭიროებს. თუ

გაზაფხულზე, საშემოდგომო ნათესები დასუსტებულია, ნათესის სწრაფი ზრდა-განვითარების დაჩქარების მიზნით მიმართავენ ჯეჯილის საგაზაფხულო გამოკვებას აზოტოვანი სასუქებით და ნუტრიენტებით. მაღალი მოსავლის მისაღებად მცენარეთა გამოკვება სასურველია ჩატარდეს კომპლექსური მიკროსასუქებით ორ ან სამჯერადად, ბარტყობის, ალერების და დათავთავების პერიოდში. ღონისძიების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული ამინდის პირობებზე, ნიადაგის მდგომარეობაზე, ნიადაგის ტიპზე.



მორწყვა. შვრიის გარანტირებული მოსავლის მისაღებად აუცილებელია თესვისშემდგომი მორწყვა. ვეგეტაციის პერიოდში, გარმო პირობების გათვალისწინებით, აუცილებელია მორწყვა ბარტყობის, დათავთავება-მარცვლის ფორმირების და ცვილისებურ სიმწიფეში.

მოსავლის აღება. მოსავლის აღების გაჭიანურება ყოვლად დაუშვებელია. მისი ძირითადი ამოცანაა ბიოლოგიური მოსავლის რაც შეიძლება სრულად აღება და დანაკარგების

მინიმუმამდე შემცირება. შვრიის მცენარისათვის დამახასიათებელია საგველა ყვავილედო, რომელიც ხშირად ოთხ იარუსიანია. ალების დაგვიანება იწვევს საგველის მტვრევას და შეიძლება მოსავალი განახევრდეს. გარდა ამისა ღეროც იწყებს ჩანოლას და რთულდება მექანიზე-

ბული აღებაც, იზრდება დანაკარგები. ღეროს ჩანოლისას მარცვალში მშრალი ნივთიერებების გადადინება ხდება ჩალასა და ფესვებში და უარესდება მარცვლის ხარისხი. შვრია ასაღებია მაშინ, როდესაც მომწიფდება ზედა იარუსის მარცვლები.

შვრიის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკა 1 კა-ზა

სამუშაოს დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	სულ თანხა, ლარი
სათესლე მასალა	კგ	240	1,5	360
ნიადაგის მოხვნა	ჰა	1	115.0	115
ხნულის დადისკვა	ჰა	1	55.0	55
ხნულის კულტივაცია	ჰა	1	55.0	55
მინერალური სასუქი (NPK)	კგ	200	1,8	280
სასუქის შეტანა	ჰა	1	25.0	25
მარცვლეულის თესვა	ჰა	1	35.0	35
მღრნელების საწინ. პრეპარ. შეძენა	ჰა	1	10.0	10
მღრნელების საწინააღმდეგო პრეპარატი	ჰა	1	10.0	10
ამონიუმის გვარჯილა	კგ	300	0.8	240
ამონიუმის გვარჯილის შეტანა	ჰა	1	13.0	13
ჰერბიციდის შეძენა	ლიტრი	1	12.0	12
ჰერბიციდის შეტანა	ჰა	1	15.0	15
მოსავლის აღება	ჰა	1	92.0	92
ტრანტპორტირება	ჰა	1	25.0	25
ნამჯის დაპრესვა-გამოტანა	ჰა	1	80.0	80
მიწის გადასახადი	ჰა	1	82.0	82
სხვა ხარჯი				100
დანახარჯები სულ (ლარი/ჰა)				1604

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მოცემულ თემაზე შეგიძლიათ

მიმართოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

შემდგენელი: ცოტნე სამადაშვილი, გულნარი ჩხუტიაშვილი



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge